

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი
სამუშაო შეხვედრა
შეხვედრის ოქმი №2

ქ. თბილისი

31.03.2025

2025 წლის 31 მარტს, Zoom პლატფორმის გამოყენებით, გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს წლის მეორე სხდომა, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - ლაშა მარგიშვილმა გახსნა და შეხვედრის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო. გამომდინარე იქიდან, რომ საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, თათია უბერი არ ესწრებოდა შეხვედრას, სხდომის თავჯდომარემ, ირმა გრძელიძემ მდივნის ფუნქცია დააკისრა მაია ახვლედიანს.

დღის წესრიგის მიხედვით, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივამძემ წარადგინა ცენტრის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. მან ხაზი გაუსვა 2024 წლის ძირითად მიღწევებს და ისაუბრა ინსტიტუციურ განვითარებაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, სერვისების განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებზე. აღნიშნა, რომ ანგარიშის სრული ვერსია საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ჰქონდათ გადაგზავნილი და დეტალურად შეძლებდნენ გაცნობას.

პრეზენტაციის შემდეგ, კითხვა-პასუხის ფორმატში, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ KPI-ს (Key Performance Indicator) ყოველწლიურად აქვს თავისი ნიშნულები, შესაბამისად მას აინტერესებდა, 2024 წლის განმავლობაში რამდენი მემორანდუმის განახლება/გაფორმება იყო დაგეგმილი და რამდენი განახლდა/გაფორმდა. ასევე, მიმდინარე ეტაპზე ცენტრს რამდენ სააგენტოსთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი. რა არის დაგეგმილი აღნიშნული მიმართულებით, აქვს თუ არა ცენტრს კონკრეტული მაჩვენებელი და როგორ ხორციელდება ანალიზი და დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგი.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ცენტრის ბიზნეს პროცესებით. 2024 წელს აღიწერა განსაზღვრული რაოდენობის ბიზნეს პროცესი, შესაბამისად მას აინტერესებდა, რამდენი პროცესის აღწერა იყო დაგეგმილი, ასევე, რამდენი დარგობრივი მახასიათებელი შემუშავდა და განახლდა და რამდენის შემუშავება/განახლება იყო დაგეგმილი. რამდენად მიჰყვება ცენტრი ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმას. მისი აზრით მიზანშეწონილი იქნებოდა მსგავსი ჩარჩოს გაკეთება, 2025 წლისთვის რა არის დაგეგმილი კონკრეტული მაჩვენებლებით, სამიზნეობით და შემდეგ, რა შესრულდა ამ სამიზნეობებთან მიმართებით.

ლაშა ზივზივამძემ ბიზნეს პროცესებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ცენტრს აქვს შიდა ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი და 2023 წელს იდენტიფიცირდა 60 ბიზნეს პროცესი, რომელიც განხორციელდა USAID HICD - ის (USAID ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების პროგრამა) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. 2024 წლის ცენტრის სამოქმედო გეგმის მიხედვით, წლის განმავლობაში, 60 ბიზნეს პროცესიდან, აღიწერა 42 პროცესი. დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური არის აღნიშნული პროცესის კოორდინატორი და 2025 წელს დაგეგმილია დანარჩენი 18 ბიზნეს

პროცესის აღწერა. ამასთან, ცენტრს აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ელექტრონული პორტალი, სადაც ხდება ცენტრის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგი.

რაც შეეხება მემორანდუმებს, რაც გულისხმობს თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან, ცენტრი ასევე ახორციელებს აღნიშნულის მონიტორინგს ცენტრის სამოქმედო გეგმის ფარგლებში. მიმდინარე ეტაპზე, ცენტრს აქვს გაფორმებული მემორანდუმი 12 განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან. განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობა ცენტრს გააჩნია ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (HAKA) სხვადასხვა მიმართულებით. ამასთან, ცენტრი ყოველ წლიურად ახორციელებს ინვენტარიზაციას, თუ რომელიმე მემორანდუმს გაუვიდა ვადა, საჭიროებს განახლებას, ან ახალი პროცესის დამატებას მემორანდუმის ფარგლებში, ცენტრი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით.

ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება სამომავლოდ დაგეგმილი და შესრულებული აქტივობების ანალიზის წარდგენა საბჭოზე.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ირმა გრძელიძემ სთხოვა დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსს, ლაშა ზივზივადემ, დაეხმოს დაეხმოს თუ რამდენი ექსპერტისგან შედგებოდა ბაღების მიმართულებით მომუშავე ექსპერტთა კორპუსი. ასევე, ირმა გრძელიძემ აინტერესებდა მეტი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 360 გრადუსიანი თვითშეფასების თაობაზე, თუ რას გულისხმობდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 360 გრადუსიანი თვითშეფასების პილოტირება და როგორია პილოტირების დასკვნები. დასმული შეკითხვების საპასუხოდ, ლაშა ზივზივადემ აღნიშნა, რომ 2030 წლამდე, ჯამში, იგეგმება 2,051 ბალის ეტაპობრივი ავტორიზაცია, რაც საჭიროებს ექსპერტთა კორპუსის სიმრავლეს. მან აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს წერილობით მიეწოდებათ ექსპერტთა კორპუსის ზუსტი რაოდენობა. რაც შეეხება, 360 გრადუსიანი თვითშეფასებას აღნიშნული ხორციელდება UNDP-ს პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში (VET ფაზა 3) პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს აღნიშნული გამოწვევების გადაჭრას. დამატებით, აღნიშნული მიმართულებით დეტალური ინფორმაცია მიწოდებული იქნება საკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის წერილობით.

საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ნათია გაბიტაშვილი, დაინტერესდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში არსებული ერთ-ერთი ვალდებულებით, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობაში 2005 წლის დირექტივის (Mutual Recognition of Professional Qualifications) ტრანსპოზიციას, საუბარია რეგულირებად პროფესიებზე. 2024 წელს საექტონო საქმე გახდა რეგულირებადი და მას აინტერესებდა აღნიშნული დირექტივის ჰარმონიზაციის მიმართულებით, რა ნაბიჯებია გადადგმული და რა იგეგმება.

ლაშა ზივზივადემ აღნიშნა, რომ საკითხი ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს და მათთან დაზუსტებულ ინფორმაციას საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მიაწვდის წერილობით.

ნათია გაბიტაშვილის მეორე შეკითხვა ეხებოდა, განახლებული საკოორდინაციო საბჭოს პირველ შეხვედრაზე მის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, რაც გულისხმობდა უცხოური სამედიცინო განათლებისა და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრში (National Committee on Foreign Medical Education and Accreditation) გაწევრიანების შესაძლებლობას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ლაშა ზივზივაძემ განმარტა, რომ დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს დაწყებული აქვს აღნიშნულ თემაზე მუშაობა, შესწავლილია ორგანიზაცია, მომზადებულია შესაბამისი პრეზენტაცია, გაანალიზებულია აღნიშნულ ორგანიზაციაში ცენტრის გაწევრიანების შემთხვევაში არსებული ხარჯი და სარგებელი. ლაშა ზივზივაძის თქმით, საკითხი განიხილება ცენტრის მენეჯმენტთან და შემდგომში ერთობლივად იქნება მიღებული გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე.

ნათია გაბიტაშვილი დაინტერესდა EQAVET-ის ინდიკატორების ინტეგრირების პროცესით, თუ რამდენი ინდიკატორი არის დანერგილი ამ ეტაპზე და როდის იგეგმება ინდიკატორების სრული ინტეგრირება პროფესიული განათლების ხარისხის სტანდარტებში. ლაშა ზივზივაძის განმარტებით, არ არის აუცილებელი ყველა ინდიკატორის ინტეგრირება და აღნიშნული დამოკიდებულია საჭიროებაზე და ფინანსურ საკითხზე და აღნიშნა, რომ დეტალურ ინფორმაციას საბჭოს წევრებს მიაწოდებდა წერილობით.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივაძემ გააზიარე შემდეგი პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში დაგეგმილ ცვლილებებს. წესებში ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო პროცესების მოქმილობისა და ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესის მეორე მუხლში, რომელიც ეხება საბჭოს უფლებამოსილებას და საბჭოს მიერ განსახილველი საკითხის ინიცირებას შევიდა ცვლილება, კერძოდ ამოღებულ იქნა ცენტრის შინაგანაწესის პროექტის განხილვა. ცვლილება შევიდა მესამე მუხლშიც, საბჭოს სხდომის დღის წესრიგის, თარიღის/დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ საინფორმაციო მასალები საბჭოს წევრებს ეგზავნებათ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ნაცვლად 7 სამუშაო დღისა. მეექვსე მუხლში საბჭოს სხდომის ოქმთან დაკავშირებით, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სხდომის ოქმის ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, ნაცვლად 10 სამუშაო დღისა.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0

რაც შეეხება ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესს, არსებული რედაქციით არ იყო განსაზღვრული სამუშაო

ჯგუფის შექმნა, შესაბამისად ახალი რედაქციით დაემატა მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის შექმნა და ჩართული მხარეები.

ცვლილება შევიდა მეხუთე მუხლში, რომელიც ეხება სიტუაციური ანალიზის მომზადებას, ახალი რედაქციით, სამუშაო ჯგუფი, სტრატეგიის ციკლის დასრულების წლის არაუგვიანეს პირველი კვარტლისა ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს წარუდგენს სიტუაციური ანალიზის დოკუმენტს.

მუხლი 6. ცენტრის სტრატეგიის პროექტის შემუშავება, განხილვა და დამტკიცება შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ახალი რედაქციით, ცენტრის თითოეული სტრუქტურული ერთეული/დირექტორს დაქვემდებარებული პირი ვალდებულ არის გაეცნოს, მონაწილეობა მიიღოს სიტუაციური ანალიზის მომზადებაში, და არაუგვიანეს 30 სექტემბრისა, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, წარუდგინონ ინფორმაცია ამ წესის დანართის №1 შესაბამისად სტრატეგიის პროექტი.

მუხლი 8. ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასების წესი - ახალი რედაქციით: ცენტრის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ შუალედური (3 წლიანი) და საბოლოო შეფასების (5 წლიანი) სახით. შუალედური შეფასება ხორციელდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მეოთხე წლის პირველ კვარტალში და სრულდება არაუგვიანეს მესამე კვარტლისა. სტრატეგიის განხორციელების საბოლოო შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლიდან პირველ კვარტალში და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს მეოთხე

მერვე მუხლის მიხედვით, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ამზადებს ცენტრის პროგრეს ანგარიშს არაუგვიანეს მომდევნო კვარტლის 28 რიცხვისა, ნაცვლად 15 რიცხვისა, რადგან აქტივობების შესრულების შიდა შეფასება პორტალზე სრულდება არაუგვიანეს 17 რიცხვისა, შესაბამისად წესის გათვალისწინებულ ვადებში ვერ ხდება პროგრეს ანგარიშის მომზადება და აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ცვლილებების საჭიროება.

ორმა გრძელიძე დაინტერესდა, როგორ ებმის საბოლოო შეფასება ახალი სტრატეგიის შემუშავების ნაწილს და რამდენად შესაბამისად მიჰყვება ერთმანეთს აღნიშნული ნაბიჯები. ლაშა ზივზივამემ აღნიშნა, რომ 2024 წელს განხორციელდა ცენტრის სტრატეგიის შუალედური (სამწლიანი 2021-2023 წლები) შეფასება და შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფი იყენებს ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ხოლო საბოლოო შეფასება განხორციელდება სტრატეგიული ციკლის დასრულების შემდეგ. გამომდინარე იქიდან, რომ მანამდე უნდა დამტკიცდეს მომდევნო 5-წლიანი სტრატეგია, თუ საბოლოო შეფასების რომელიმე საკითხი თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე არ იქნება ასახული ახალ ხუთწლიან სტრატეგიაში ცენტრი აღნიშნულ საკითხის განიხილავს და საჭიროების შემთხვევაში, გადახედავს სტრატეგიას და გაითვალისწინებს მას.

ნათია გაბიტაშვილმა იკითხა, იყო თუ არა ცენტრის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებასთან. ასევე, ცენტრის მიერ შედგენილი ყველა სამოქმედო გეგმა იყო თუ არა ერთწლიანი. დაინტერესდა შუალედური და საბოლოო შეფასების ფორმებით, შეფასების რომელ მეთოდოლოგიას იყენებს ცენტრი, გარე, შიდა, თუ

შერეულ შეფასებას. ასევე, განხორციელებული მონიტორინგის შედეგები არის თუ არა საჯარო და ხელმისაწვდომი.

ლამა ზივზივამემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული წესი შეესაბამება საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებას, რასაც ადასტურებს წესში არსებული ჩანაწერიც, თუმცა სრულად არ ეფუძნება, რადგან ცენტრს, როგორც საჯარო სამართლის იურისიულ პირს არ აქვს ვალდებულება მთავრობის 629-ე დადგენილების მიხედვით განხორციელოს სტრატეგიის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესები. ცენტრმა სტრატეგიის შუალედური შეფასებისას აქცენტი გააკეთა გარე შეფასებაზე. სტრატეგიის შუალედური შეფასება განხორციელდა N629 დადგენილების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ამასთან, ცენტრის მიერ შემუშავებული ყველა სამოქმედო გეგმა არის 1-წლიანი. ცენტრი ყოველი წლის სექტემბრის თვეში იწყებს მუშაობას მომდევნო წლის გეგმის შემუშავებაზე და დეკემბრის ბოლოს მტკიცდება სამოქმედო გეგმა ცენტრის დირექტორის მიერ.

ასევე, ცენტრის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება მთავრობის დადგენილების N629 მოთხოვნების მიხედვით. ლამა ზივზივამის თქმით, ცენტრს ბოლო წელს სამოქმედო გეგმის შესრულების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გააჩნია. 2021 წელს სრულად შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 52%, ხოლო 2024 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 83%-მდე, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებელი მაჩვენებელია/ინდიკატორია.

ირმა გრძელიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია სამომავლოდ სტრატეგიის შეფასების განხორციელების ვადების გადახედვა, რაც კარგი შესაძლებლობა იქნება ახალი სტრატეგიის დაგეგმვისთვის.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ცენტრის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში არსებული ცვლილებების საკითხი, რომელსაც საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0

შეხვედრის ბოლოს, ლამა მარგიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოს მომდევნო შეხვედრა შესაძლოა დაემთხვეს ცენტრის ყოველწლიურ კონფერენციას, რათა საკოორდინაციო საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივმა წევრებმაც შესძლონ კონფერენციაზე დასწრება.

დანართი 1:

სახელი, გვარი	პოზიცია	საკოორდინაციო საბჭო
ირმა გრძელიძე	შპს ვაკვასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის ხელმძღვანელი;	საბჭოს თავმჯდომარე

მაია ახვლედიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;	საბჭოს მდივნის ფუნქციათა შემსრულებელი
მაია რუხაძე	სსიპ - ქალაქ თბილისის №221-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;	საბჭოს წევრი
თინათინ ტყემალაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, მოლექულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;	საბჭოს წევრი
დევიდ გორდონი	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი;	საბჭოს წევრი
ნათია გაბიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;	საბჭოს წევრი
ლევან კერესელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;	საბჭოს წევრი
სოფიო ლონდარიძე	ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ადმინისტრაციული გუნდის ლიდერი;	საბჭოს წევრი
ლიანა კოლხიტაშვილი	შპს „ტრენინგ ლაბის“ დირექტორი.	საბჭოს წევრი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ონლაინ სამუშაო შეხვედრა

Working Meeting of the Coordination Council of the LEPL - National Center for Educational Quality Enhancement

შეხვედრის ბმული/meeting link:

<https://us02web.zoom.us/j/86470030231?pwd=slMqv9g6cXpg8zWD1SfPX1RBPanAVg.1>

13:00-14:00 საათი, 31 მარტი, 2025 წელი

13:00-14:00, March 31, 2025

დღის წესრიგი / Agenda

დრო/Time	განსახილველი საკითხი / Discussion topic	მომხსენებელი/ Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია / Position, Organization
13:00 - 13:15	მისალმება Introduction	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili ქეთევან კობახიძე Ketevan Kobakhidze	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, National Center for Educational Quality Enhancement დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement
13:15 - 13:30	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა	ლაშა ზივზივაძე	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

	Introduction of the Annual Report 2024, LEPL - National Center for Educational Quality Enhancement	Lasha Zivzivadze	Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement
13:30 -13:35	კითხვა-პასუხი/ Questions and Answers		
13:35 – 13:50	<p>ცვლილებები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში</p> <p>ცვლილებები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესში</p> <p>Amendments to the Rule on the Development, Monitoring, and Evaluation of the Strategy and Action Plan for the Implementation of the Strategy of the Legal Entity of Public Law – National Center for Educational Quality Enhancement</p> <p>Amendments to the Rule for Administering the Work of the Coordination Council of the LEPL – National Center for Educational Quality Enhancement</p>	<p>ლაშა ზივზივაძე</p> <p>Lasha Zivzivadze</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი</p> <p>Head of Planning, Research and Internatioanl Relations Department, National Center for Educational Quality Enhancement</p>
13:50 – 13:55	კითხვა-პასუხი/ Questions and Answers		

13:55 – 14:00	სამუშაო შეხვედრის შეჯამება Wrap Up	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Acting Director, National Center for Educational Quality Enhancement
---------------	---------------------------------------	--------------------------------------	---

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
საკოორდინაციო საბჭო მდივნის ფუნქციათა შემსრულებელი
მაია ახვლედიანი

მ. ახვლედიანი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
საკოორდინაციო საბჭო თავჯდომარე
ირმა გრძელიძე

ირმა გრძელიძე